ფილიპე V მაკედონელის მიერ თესალიის ქალაქ ლარისასთვის[1] გაგზავნილი წერილები ძვ.წ. 217-215 წლებში[2]

საკვანძო სიტყვები: ფილიპე V, წერილები, ქალაქი ლარისა, მოქალაქეობა

Key Words: Philip the V, Letters, City of Larissa, Citizenship

ალექსანდრე დიდის (Μέγας Αλέξανδρος, ძვ.წ. 336-323) იმპერიის დაშლისა და დიოდოხოსების (Διάδοχοι) მიერ მისი გაყოფის შემდეგ, სამ კონტინენტზე, ევროპაში, აზიასა და აფრიკაში წარმოიქმნა ელინისტური სახელმწიფოები: პტოლემაიოსების (Πτολεμαῖοι) ეგვიპტის სამეფო, სელევკიდების (Σελευκίδαι) სამეფო, ატალიდების დინასტიის (Δυναστεία των Ατταλιδών) პერგამონის სამეფო და მაკედონია, (Μακεδονία) რომლის ტახტი, ხანგრძლივი შიდა დაპირისპირების შემდეგ ანტიგონიდების (Ἀντιγονίδαι) ხელში აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ ძვ.წ. II საუკუნიდან მოყოლებული ყველა ელინისტური სახელმწიფო გვიანი პერიოდის რომის რესპუბლიკამ (ძვ.წ. III-I სს) დაიპყრო.

ელინისტური სამეფოები ძალაუფლებისათვის ბრძოლაში მუდმივად უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს, რაც რასაკვირველია იწვევდა თვით გამარჯვებული სახელმწიფოს ეკონომიკურ, პოლიტიკურ... დასუსტებას. შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს დასუსტება ყველაზე მეტად გამომჟღავნდა სელევკიდების სახელმწიფოში, რამაც საბოლოოდ ამ უზარმაზარი ტერიტორიის გაყოფა გამოიწვია. მასზე კი კიდევ ერთი, აღმოსავლეთ ელინისტური სახელმწიფო, არშაკიდული პართია წარმოიქმნა. შინაგანი სისუსტისა და მუდმივი დაპირისპირების გამო ძალზედ გართულებული მდგომარეობა ჰქონდა ანტიგონიდების მაკედონიის სამეფოს. იგი მუდმივად უპირისპირდებოდა ელადაში არსებულ დამოუკიდებელ პოლისებსა და მათ გაერთიანებებს, რომელნიც მაკედონიის მტაცებლური პოლიტიკით შინაგანად გამოფიტულნი იყვნენ. რა თქმა უნდა, ბერძნული პოლისების მმართველთა შორისაც იყვნენ პრომაკედონიურად განწყობილი ჯგუფები, მაგრამ მას შემდეგ, რაც ბალკანურ პოლიტიკაში დალმაციიდან რომის რესპუბლიკა იჭრება, ბერძნული პოლისები მაკედონიის მჩაგვრელი პოლიტიკის საპირწონედ ფსონს სწორედ რომზე დებენ, რაც საწყის პერიოდში იწვევს რომაული გავლენის ჯერ ნებაყოფლობით, ხოლო შემდეგ ძალისმიერ ზრდას, რაც საბოლოო ჯამში მისი სრული გაბატონებით სრულდება. რომის გამოჩენამ არა მხოლოდ ელადის, არამედ მაკედონიის პოლიტიკური კურსიც სრულიად შეცვალა. რომის გამოჩენამდე მის ძირითად

[1] ლარისა/Λάρισσα პოლისი თესალიის (Θεσσαλία) რეგიონში, იგი მაკედონიიდან ცენტრალურ ელადაში შესასვლელ კარიბჭეს წარმოადგენს. ლარისა ძვ.წ. IV საუკუნიდან თესალიური ლიგის წინამძღოლი იყო.

[2] ძველი ბერძნული ტექსტი – IG IX,2 517 – PHI Greek Inscriptions (packhum.org).

ამოცანას ელინური პოლისების დაპყრობა წარმოადგენდა, ახლა კი საზრუნავი გაუხდა თავისი პოლიტიკური ინტერესების დაცვა რომის მიერ ელადის პოლისებისა და რესპუბლიკის შესაძლო ურთიერთობის აღმოსაფხვრელად, თანაც ამას ემატება ეკონომიკური სტაგნაცია ქვეყნის შიგნით და უკვე დემეტრიოს II-დან (Δημήτριος II ძვ.წ. 239-229) მოყოლებული მაკედონიის ელინისტური სამეფო თავის პოზიციებს აშკარად კარგავს, შესაძლოა ითქვას, რომ იგი „დათმობითი პოლიტიკის" გამტარებელი ხდება. რაც შეეხება რეგენტ ანტიგონოს III-ს, (Ἀντίγονος III) იგი თავისი ბიძაშვილის, დემეტრიოს ეტოლიკოსის, (Αιτωλικός)[3] პოლიტიკურ კურსს ცვლის და მნიშვნელოვან წარმატებებსაც აღწევს. პირველ რიგში იგი ამარცხებს აჯანყებულ დარდანელებს[4], რომელნიც დემეტრიოსის სიკვდილის მიზეზი გახდნენ. ანტიგონოს დოსონი (Δώσων)[5] მაკედონიის ტახტს, ძვ.წ. 229-221 წლებში იკავებდა[6]. მისი გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ადის ფილიპე V (Φίλιππος III ძვ.წ. 221– 179), დემეტრიოს II-ის ძე. იგი ისტორიოგრაფიაში ცნობილია როგორც მაკედონიის ბოლოსწინა და უკანასკნელი დიდებული მეფე. როგორც ნიკოლსონი მიუთითებს, ის იყო პირველი ელინისტი მონარქი, რომელიც დაუპირისპირდა რომს. (Nicolson 2015: 15) იგი მმართველობის საწყისი ეტაპიდან აქტიურად ერთვება ელადის პოლისებს შორის მიმდინარე დაპირისპირებაში, რასაც მოჰყვა მაკედონიის ჩართვა ეტოლიურ ომში (ძვ.წ. 220-217).[7] იგი ამასთან ერთად ანტირომაულ პოლიტიკას ატარებდა და სწორედ ამიტომ შეეკრა კართაგენსა (Carthago) და ჰანიბალს (Hannibal, ძვ.წ. 247-181) როდესაც ძვ.წ. 218 წელს დაიწყო მეორე პუნიკური ომი[8]. კართაგენსა და მაკედო-

[3] Αιτωλικός – ეტოლიკოსი, ანუ ეტოლიელი.

[4] დარდანიის სამეფო, ძვ.წ. IV საუკუნეში შექმნილი პოლიტიკური სუბიექტი იყო. იგი მდებარეობდა მაკედონიის სამეფოს ჩრდილოეთით, დღევანდელი სერბეთის (ძირითადი ნაწილი კოსოვო) ჩრდილოეთ მაკედონიისა და ალბანეთის ტერიტორიაზე. იგი მუდმივად მედგარ წინააღმდეგობას უწევდა სამხრეთიდან, მაკედონელების მიერ დაწყებულ ექსპანსიას ჩრდილოეთით. სწორედ ამიტომ ჰქონდათ მათ მუდმივი დაპირისპირება ფილიპე V-თან. ძვ.წ. 28 წელს დარდანიის სამეფო, რომმა, კერძოდ, მარკუს ლიკინიუს კრასუსმა (Marcus Licinius Crassus) დაიპყრო, რომელსაც ძვ.წ. 29-27 წლებში მაკედონიის პროკონსულის თანამდებობა ეკავა.

[5] Δώσων– დოსონი, იგი ზმნა διδωμι-დან მოდის, კერძოდ იგი არის მომავალი დროის მიმღეობა და სიტყვასიტყვით შეგვიძლია ვთარგმნოთ, როგორც გადამცემი. ამ შემთხვევაში, რადგან ანტიგონოსი რეგენტი იყო, ანუ დროებითი მმართველი და მომავლში უნდა გადაეცა მეფობა ტახტის მემკვიდრისთვის.

[6] ანტიგონოს III-ის რეგენტად დანიშვნის გადაწყვეტილება მაკედონიურმა ნობილიტეტმა მიიღო, მიზეზი კი მომავლი მეფის, ფილიპე V-ის, მცირეწლოვნობა დასახელდა, იგი ამ დროს სულ რაღაც 9 წლის გახლდათ.

[7] ეტოლიური ომი მიმდინარეობდა აქაველთა (Κοινὸν τῶν Ἀχαιῶν) და ეტოლიურ (Κοινὸν τῶν Αἰτωλῶν) ლიგებს შორის. აღსანიშნავია, რომ სწორედ მაკედონიის სამეფო აქაველთა ლიგას „მეთაურობდა", ასევე მის მხარეზე გამოდიოდა ეპიროსი (Ἤπειρος), ბეოტია (Βοιοτία)..., ხოლო ეტოლიური ლიგის მომხრე იყო სპარტა (Λακεδαίμων) და ელისი (Ἦλις). ომის ბუნებიდან გამომდინარე, სამეცნიერო ლიტერატურაში მას მოკავშირეთა ომის სახელითაც იცნობენ.

[8] მეორე პუნიკური ომი კართაგენსა და რომის რესპუბლიკას შორის ძვ.წ. 218-202 წლებში მიმდინარეობდა. ხანგრძლივი და გარდამავალი ომის გამარჯვებული რომის რესპუბლიკა გახდა. აქვე აღსანიშნავია, რომ სწორედ მეორე პუნიკური ომის დაწყებამ და გარკვეულ ბრძოლებში კართაგენელების გამარჯვებამ გადააწყვეტინა მეფე ფილიპე ეტოლიური ომი დაესრულებინა, რადგან თავისი მოწინააღმდეგის, რომის რესპუბლიკის, მტერთან, კართაგენთან დაეწყო მოლაპარაკებები შესაძლო კავშირის თაობაზე.

ნიას შორის კავშირსა და მაკედონიის სამხედრო ჩართულობას მეორე პუნიკურ ომში, მოჰყვა ძვ.წ. 215 წელს მაკედონიასა და რომს შორის პირველი მაკედონიური ომის წამოწყება.[9]

წერილების გაგზავნის წინაპირობა და მათი მიმართება ფილიპე V-ის საგარეო პოლიტიკასთან

წერილები, რომელსაც ფილიპე V გზავნის ლარისას მმართველთა და მოქალაქეთათვის არ ყოფილა მხოლოდ მაკედონელი მეფის მცდელობა, მის ნება-სურვილსა და დირექტივებს დაქვემდებარებოდნენ ლარისელები. მაკედონელი მეფე ძვ.წ. 217 წელს, მას შემდეგ გზავნის წერილებს, როდესაც ლარისელთა მხრიდან მოდიან მაცნენი, რომელნიც სთხოვენ ფილიპეს ლარისასთვის გართულებული სიტუაციიდან გამომდინარე[10] მათთვის რჩევა მიეცა, რომლის წყალობითაც შეძლებდნენ სიტუაციის გამოსწორებას. სწორედ ამ თხოვნას მოსდევს ძვ.წ. 217 წლის სექტემბერში ფილიპე V-ის მიერ წერილის გაგზავნა მათდამი.

აღინიშნა და კიდევ ერთხელ განვმეორდები, რომ ელინისტური პერიოდის მაკედონიის სამეფოს საგარეო პოლიტიკა მუდმივად მიმართული იყო იმისკენ, რომ ძალისმიერად ჩარეულიყო და წამყვანი როლი ეთამაშა მის სამხრეთით არსებული ელადის პოლისების პოლიტიკურ საქმიანობაში. სწორედ ამის მტკიცებაა მისი ჩართვა ეტოლიურ ომში, რაც გახდა კიდეც განმაპირობებელი ფაქტორი ფილიპეს საგარეო პოლიტიკაში დამატებითი ასპექტის გაჩენისა, რადგან სწორედ ამ ომის დასრულების შემდეგ ლარისელების თხოვნის საშუალებით ნიადაგს სინჯავს არის თუ არა შესაძლებელი რბილი „ძალის მეშვეობით“[11] ელადის პოლისებში მისთვის სასურველი პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმის. მისი მცდელობა, რომ დალმაცია-ილირიიდან მომავალი რომის საწინააღმდეგოდ, მაგრამ მათივე პოლიტიკის მაგალითზე, რამენაირად უზრუნველყოს მაკედონიის სამეფოს ერთიანობა და შესაძლებელი გაფართოება, მისი მეზობელი ელინური თუ არაელინური პოლიტიკური სუბიექტების დამორჩილების გზით, მართლაც ერთ-ერთ თვალსაჩინო პოლიტიკურ ფიგურად წარმოაჩენს ფილიპე მეხუთეს. ამასთანავე იგი ხვდება, რომ ბალკანურ პოლიტიკაში რომის რესპუბლიკის ჩართვა ასუსტებს მის პოზიციებს, ამიტომაც საჭირო ხდება მოშორებით, ზღვის გადაღმა, შესაფერისი მოკავშირის მოძიება, ამ შემთხვევაში კართაგენის სახით, რომელიც შეიძლება ითქვას, რომ პირველ პუნიკურ ომში (ძვ.წ. 264-241) დამარცხების მიუხედავად რომის ყველაზე

ამისკენ მაკედონელ მმართველს ილირიული სახელმწიფოს მეფედყოფილმა, დემეტრიოს ფაროსელმა (Δημήτριος ὁ Φάριος ძვ.წ. 222-219) უბიძგა, რადგან მას საკუთარი პრეტენზიები ჰქონდა რომის თვითმპყრობლურ რესპუბლიკასთან. რჩევიდან გამომდინარე და ფილიპე V-ის ხელმძღვანელობით მოკავშრეთა ომი ნავპაქტოსის (Ναύπακτος) ზავით სრულდება.

[9] პირველი მაკედონიური ომი, ანტიგონების მაკედონიის სამეფოსა და რომის რესპუბლიკას შორის ძვ.წ. 215-205 წლებში მიმდინარეობდა, იგი რომის გამარჯვებით დასრულდა.

[10] იგულისხმება ეტოლიური ომით გამოწვეული რთული მდგომარეობა, ტერიტორიების დაკარგვა, მოსახლეობის/მოქალაქეების/სამხედროების რაოდენობის კლება და ა.შ.

[11] სწორედ „რბილი ძალის“ მიდგომა იყო ფილიპე მეხუთის მიერ შემოტანილი სიახლე მაკედონიის სამეფოს საგარეო პოლიტიკური კურსის განსაზღვრაში.

დიდი მტერი და ამასთანავე მისი საპირწონე ძალაა, თანაც ისეთი, რომელთან მოკავშირეობის გარეშეც შეუძლებელი იქნება, შესაძლო რომაული ჩექმის აღმოფხვრა ბალკანეთიდან. ანუ ფაქტობრივად, ფილიპე მაკედონელი ზუსტ საგარეო პოლიტიკურ პროგნოზებს სვავს, მაგრამ მეორე საკითხია, თუ როგორ გაამართლებენ ამ პროგნოზებს მისი მოკავშირეები. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ყველასთვის გასაგებია თუ რა მნიშვნელობა ექნებოდა იმ თხოვნას ფილიპე მეხუთისთის მიმართ რომელიც მისი პოლიტიკის ნებაყოფლობით გაფართოებას მოასწავებდა სამხრეთით, თესალიური ლიგის მეთაურის, პოლის ლარისას გავლით ცენტრალური ელადისკენ.

ძვ.წ. 217 წლის სექტემბრის წერილი

„ტაგოსები[12]: ანანკიპოს პეტთალეოსის ძე, არისტონოოს ევნომეოსის ძე, ეპიგენეოს იასონის ძე, ევდიკოს ადამანტეოსის ძე, ალექსია კლეარქესის ძე. გიმნასიარქონი[13]: ალევა დამოსთენესის ძე. მეფე ფილიპემ ტაგოსსა და პოლისს ასეთი წერილი მისწერა: მეფე ფილიპე ლარისელთა მაგისტრატსა/მაგისტრატთა კოლეგიასა[14] და პოლისს ესალმება. როდესაც პეტრაიოსი, ანანკიპოსი და არისტონოოსი ელჩობიდან დაბრუნდნენ, განმიცხადეს, რომ გადახდილი ბრძოლების შედეგად თქვენს ქალაქს მოსახლეთა რაოდენობის გაზრდა სჭირდება.[15] ამჯერად, ვიდრე სხვებს თქვენი მოქალაქეობის ღირსად მოვიაზრებდეთ, გადავწყვიტე, რომ ჩაატაროთ კენჭისყრა თესალიელებისათვის და თქვენ შორის მოსახლე სხვა მოკავშირე ელინთათვის მოქალაქეობის მინიჭების შესახებ. ვინაიდან, როდესაც ეს აღსრულდება და კაცთმოყვარეობით ყველა ერთად დადგება, დარწმუნებული ვარ სხვა ბევრი სასარგებლო საქმე გაკეთდება, როგორც ჩემთვის, ისე პოლისისათვის, და მიწაც უკეთ დამუშავდება. მეხუთე წელი, ჰიპერბერეტიოსის 21-ე დღე[16]

[12] Ταγός/ტაგოსი, იგი სპეციფიური ტერმინი გახლავთ, ამიტომ თარგმანში იგი გადმოტანილი იქნება „გრეციზმით“, Nominativus – სს დამატებული ქართული სახელობითი ბრუნვის ნიშანი – ი, ანუ ტაგოსი. ამ ტერმინს ანტიკურობაში რამდენიმე მნიშვნელობა გააჩნდა, 1. უბრალოდ, მეთაურის, ხელმძღვანელის; 2. თესალიის ლიგის, კავშირის, ხელმძღვანელის; 3. თუკი ტაგოსი, გამოყენებულია მრავლობითი ფორმით (Ταγοι) მასში იგულისხმება თესალიის ქალაქებში არსებული მაგისტრატი/ მაგისტრატთა კოლეგია და მისი წარმომადგენლები. ტერმინი ტაგოსი გვხვდება შემდეგ ბერძენ ავტორებთან: Xen. Hell. 6.4.28, Aesch. Pers. 23, Aesch. Ag. 110...

[13] ძველ საბერძნეთში არსებული გიმნასიონის, მმართველი. ანტიკური პერიოდის გიმნასიონი წარმოადგენდა ფიზიკური ვარჯიშისთვის განკუთვნილ დაწესებულებას. თანამედროვეობაში იგი შესაძლოა შევადარო სპორტულ დარბაზებს. ინგლისურ ენაში არსებული სიტყვა Gym, ბერძნული ფუძიდან მოდის, ზმა γυμνάζω-დან რომელიც ვარჯიშს აღნიშნავდა. უნდა აღინიშნოს, რომ გიმნასიონს ძალზე მნიშვნელოვანი დატვირთვა ჰქონდა ძველ ბერძნულ სინამდვილეში, ძველ ათენში მისი ხშირი სტუმარი იყო თავად პლატონიც.

[14] დედანში მრავლობითი ფორმით გვხვდება ტაგოსი – τοῖς ταγοῖς, ამიტომ იგი უნდა გადაითარგმნოს როგორც მაგისტრატი/ მაგისტრატთა კოლეგია.

[15] იგულისხმება, ეტოლიური, იგივე მოკავშირეთა ომის დროს გადახდილი ბრძოლები.

[16] მეხუთე წელი, ანუ ფილიპე V-ის გამეფებიდან მეხუთე წელი, იგი ტახტზე ძვ.წ. 221 წელს ადის, აქედან გამოდინარე ძვ.წ. 217, მისი გამეფებიდან სწორედ მეხუთე წელი გამოდის. ბერძნული პოლისების მსგავსად მაკედონიური კალენდარი მთვარე-მზის სისტემით მოქმედებდა. წელი იწყებოდა თვე დიოსით/ Δίος, ანუ ოქტომბრით. რაც შეეხე-

პანამოსის[17] 26-ე დღეს, როდესაც ქალაქმა მიიღო ეს ბრძანებულება, ჩატარდა კრება ყველა ტაგოსის[18] თავმჯდომარეობით. მეფე ფილიპემ ტაგოსსა[19] და პოლისს გაუგზავნა წერილი, რომლის მიხედვითაც, ელჩობიდან დაბრუნებულმა პეტრაიოსმა, ანანკიპოსმა და არისტონოსმა მას გაუცხადეს, რომ ჩვენი ქალაქი გადახდილი ბრძოლების შედეგად საჭიროებს მოსახლეობის გაზრდას. ამჯერად, ვიდრე სხვებს პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობის ღირსად მოვიაზრებდეთ, გადავწყვიტეთ ჩაგვეტარებინა კენჭისყრა რათა მოქალაქეობა მივანიჭოთ იმ თესალიელებსა და სხვა ელინებს რომლებიც ჩვენს შორის მკვიდრობენ.

ვინაიდან, იგი დარწმუნებულია, რომ ამ ყოველივეს აღსრულება და კაცთმოყვარეობით ხალხის გაერთიანება[20] მრავალ სიკეთეს მოიტანს, როგორც მისთვის, ისე ქალაქისათვის და მიწაც უკეთ დამუშავდება. მმართველობის მიერ გადაწყდა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მეფის წერილის შესაბამისად გვემოქმედა და მოქალაქეობა მიგვენიჭებინა იმ თესალიელებისა და სხვა ელინთათვის რომლებიც ჩვენ შორის მკვიდრობენ, მათაც და მათ შთამომავლებსაც ჰქონდეთ ყველა სხვა უფლება, როგორიც ლარისელებს, თითოეულმა კი აირჩიოს ფილე, რომლის წევრობაც სურს.

ეს ბრძანებულება სამუდამოდ დარჩეს ძალაში. ხაზინადრებს დაევალათ: დაწერონ მოქალაქეებად ჩარიცხულთა სახელები ორ რკინის სტელაზე და დადონ ერთი, აპოლონ კერდოსის ტაძარში[21], ხოლო მეორე აკროპოლისზე; აგრეთვე, დაფარონ ყველა ხარჯი რომელიც წარმოიქმნება.“

როგორც წერილიდან ირკვევა მეფე ფილიპე ლარისელთა პრობლემის აღმოფხვრის ერთადერთ გზად მოქალაქეთა რაოდენობის გაზრდას მიიჩნევს, მოქალაქეობის არა მხოლოდ თესალიელთათვის, არამედ სხვა ბერძენთათვისაც მიცემით. ამ დროს კი ირღვევა მოქალაქედ ჩარიცხვის წესი, რომელიც სათავეს ძვ.წ. V საუკუნის ათენიდან იღებს, ე.წ. პერიკლეს მოქალაქეობის კანონი, როდესაც ადამიანი მხოლოდ მაშინ ჩაითვლებოდა მოქალაქედ თუკი ორივე მშობელი მას მოქალაქე ეყოლებოდა. მეფე ფილიპე ე.წ. ნატურალიზაციით მოქალაქეობის მიღებას სთავაზობს ლარისელებს, რაც მისი აზრით ყოველგვარ პრობლემას აღმოფხვრის. აქვე აღსანიშნავია, რომ ნატურალიზაციის ინსტიტუტი ათენშიც არსებობდა, მაგრამ იგი არ იყო ისე ფართოდ გავრცელებული, რა მასშტაბითაც მეფე ფილიპე სთავაზობს ლარისელებს.[22]

ბა Ὑπερβερεταῖος/ჰიპერბერეტიოსს იგი დღევანდელობაში შეესაბამება სექტემბერს, მისი დღეების რაოდენობა კი 29-ით განისაზღვრებოდა.

[17] Πάνημος/Πάναμος – პანამოსი იგივე ივნისი, მაკედონიის გარდა ამ თვის სახელწოდება გამოიყენებოდა ეპიდავროსში (Ἐπίδαυρος), კორინთოსში (Κόρινθος) და მილეტოსში (Μίλητος).

[18] მიუხედავად იმისა, რომ მრავლობითი რიცხვია, კონტექსტიდან გამომდინარე იგულისხმებიან ცალკეული ტაგოსები, ანუ მაგისტრატთა კოლეგიის წევრები.

[19] უნდა იგულისხმებოდეს თესალიის ლიგის ხელმძღვანელი, რომელიც ამასთანავე ერთ-ერთი ლარისელი ტაგოსი/ მაგისტრატთა კოლეგიის წევრი იყო.

[20] სიტყვასიტყვით: ყველას ერთად დადგომა.

[21] ორიგინალ ტექსტში – Ἄπλουνος – Nom. Sing. – Ἄπλουν – თესალიური დიალექტი, შედარებისთვის, ატიკური დიალექტი – Ἀπόλλων.

[22] ნატურალიზაციის შესახებ ცნობას ისოკრატესი (σοκράτης ძვ.წ. 436–338) გადმოგვცემს,

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ მოსახლეობისა და სამხედროების გაზრდა ასევე შესაძლებელი იქნებოდა ნოთოსებისათვის[23] მოქალაქეობის მინიჭებით, ისინი იმ ქალაქის მკვიდრნი არიან და შესაძლოა ითქვას უფრო საიმედოები ვიდრე სხვა თესალიელები ანდა სხვა ბერძნები. მეფე ფილიპეს მიერ ნაპოვნი გამოსავალი შესაძლოა იმის მანიშნებელი იყოს, რომ ნოთოსებს უკვე ჰქონდათ მინიჭებული მოქალაქის უფლებები და ლარისას სჭირდებოდა კიდევ უფრო მეტი, ანდა ეს შეიძლება იყოს მეფის მცდელობა პრომაკედონიურად განწყობილი მოსახლეობის ჩასახლებისა და მოქალაქეებად ჩარიცხვისა ლარისაში, ეს ხომ მისი დიპლომატიის გამარჯვება იქნებოდა.

მეფე ფილიპე მეორე წერილს ძვ.წ. 215 წელს აგზავნის. ლარისას მოსახლეობისათვის წერილის ხელახლა გაგზავნის მიზეზი წერილშივე კარგად ჩანს. მეფე მიუთითებს, რომ სტელა, რომელზეც მოქალაქეებად ჩარიცხულთა სახელები იყო დაწერილი გაანადგურეს.

ძვ.წ. 215 წლის წერილი

„მოგვიანებით მეფე ფილიპე სხვა წერილის უგზავნის ტაგოსს და ქალაქს. ტაგოსებს/მაგისტრატთა კოლეგიის წევრებს: არისტონოს ევმენოსს, ევდიკოს ადამანტეოსს, ალექსიპოს ჰიპოლონეოსს, ეპიგენეოს იასონეოსს, ნიმენიოს მანასიანიოსს, გიმნარქონს, ტიმუნიდდა ტიმუნიდეოსს წერს. მეფე ფილიპე ლარისელ მაგისტრატსა და ქალაქს სალამს უძღვნის. შევიცანი, რომ ჩემი წერილისა და თქვენი ბრძანებულების შესაბამისად ხალხისათვის მოქალაქეობა მიგინიჭებიათ და მათი სახელები დაგიწერიათ სტელაზე, რომელიც განადგურდა.[24] ამგვარად თუ ნამდვილად ასე მოხდა, თქვენმა წამქეზებლებმა ვერ გაიაზრეს თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ჩემს გადაწყვეტილებას თქვენი სამშობლოსთვის.

ვინაიდან უმჯობესია, რომ ქალაქი გაძლიერდეს პოლიტიკურ საქმიანობაში მრავალი ადამიანის მონაწილეობით და მიწა არ იყოს სამარცხვინოდ დაუმუშავებელი როგორც ახლა. ვფიქრობ, თქვენც ვერ უარყოფთ, რომ შესაძლებელია ვნახოთ სხვანი, ვინც მოქალაქეებად გაფორმების მსგავსი წესით სარგებლობენ. მათ შორის არიან რომაელებიც, რომელნიც განთავისუფლების შემდეგ მონებს სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობისათვის გარკვეულ ძალაუფლებას აძლევენ. ამის წყალობით არამხოლოდ გააძლიერეს სამშობლო[25], არამედ დაახლოებით 70 კოლონია დააფუძნეს[26]. ახლა კიდევ მოგიწოდებთ თქვენ, რომ

როდესაც ლაკედემონელებს მათ მიერ ათენისთვის გაწეული დახმარებისათვის მოქალაქეობა მიანიჭეს. Isoc. 9.54

[23] Νόθος – ნოთოსი/ უკანონო შვილი. არაოფიციალური თანაცხოვრების შედეგად დაბადებული ბავში, ანდა მონისგან გაჩენილი. მისი საპირისპირო ცნება – Γνήσιος – გნესიოსი / კანონიერი მემკვიდრე. ნოთოსებს სხვადასხვა პერიოდში განსხვავებული უფლებები ჰქონდათ.

[24] ეს ფაქტობრივად ფილიპე V-ის მიერ შეთავაზებული გამოსავლის უგულებელყოფა იყო, რომელსაც მეფის მხრიდან რეაგირება აუცილებლად მოჰყვებოდა.

[25] იგულისხმება მოქალაქეთა რაოდენობის გაზრდა და ამით გამოწვეული გაძლიერება.

[26] როგორც კოლუმბიის უნიივერსიტეტის გამოცემა მიუთითებს, ფილიპე მეხუთე არ იყო სწორად ინფორმირებული რომის რესპუბლიკის მიერ მონების განთავისუფლების (გა-

ამ საკითხთან დაკავშირებით უყოყმანოდ დაჰყვეთ ჩემს ნებას და მოქალაქეებად შერჩეულებს აღუდგინოთ სახელმწიფო მმართველობაში მონაწილეობის უფლება. თუკი ზოგიერთმა რაიმე უპატიებელი ჩაიდინა სამეფოს ან პოლისის მიმართ, ან სხვა რაიმე მიზეზით არ არიან ღირსნი რომ მათი სახელები ამ სტელაზე ეწეროს[27] მოგიწოდებთ, მათ შესახებ გადადოთ საქმის განხილვა მანამ, სანამ მე ლაშქრობიდან დავბრუნდები რათა მოვისმინო. ამასთანავე მათ მომჩივანთ გადაეცით: მათი ჩივილის მიზეზი პატივმოყვარეობა[28] არ იყოს.

მეშვიდე წელი, გორპიაიოსის 31 ე დღე[29].

ქალაქმა დადგენილება მიიღო. ტემისტიოსის ბოლო დღეს, წმინდა საქმეებზე ალექსიპოსის ზედამხედველობით. ალექსიპოსმა თქვა: მმართველობის მიერ დადგინდა: ტაგოსმა[30] ნავსადგურში დადგას მოქალაქეობამინიჭებული ადამიანების სია, რომელთა სახელები მეფის წერილს შეესაბამება და მეფის წერილისა და ბრძანებულების შესაბამისად – ადრეც და დღევანდელიც – (მოქალაქეთა სახელები) უნდა დაიწეროს ორ რკინის სტელაზე ერთი დაიდოს, აპოლონ კერდოსის ტაძარში, ხოლო მეორე აკროპოლისზე, ათენას ტაძარში[31]; ხაზინადრებს დაევალათ დაფარონ ყველა ხარჯი რომელიც წარმოიქმნება. ეს ბრძანებულება სამუდამოდ დარჩეს ძალაში."

ამის შემდეგ ტექსტს მოსდევს შემორჩენილი 203 პიროვნების სახელი, რომელთაც მიენიჭათ თესალიის ქალაქ ლარისას მოქალაქეობა.

ბერძნულ-რომაული საკუთარი სახელების გადმოტანისას ვიხელმძღვანელე „ბერძნული და რომაული საკუთარი სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონით," რომელიც 2023 წელს გამოიცა.

„სამოთრაკიელი[32]: არქიპოს კალიფუნტელი;

კრანუნელები[33]: აგესინოს ლიკინიოსი; ფალაკროს სიმიეოსი, სიმიას ფალაკრიოსი, ლისიას ფილოკლიოსი, ეპიკრატის ეპიკრატიდეოსი, ლიკინოს პოლი-

---

აზატების) შემდეგ მათი სახელმწიფო საქმეებში ჩართვასთან დაკავშირებით, ასევე ის რომ, ძვ.წ. III საუკუნის ბოლოს 70 კოლონია რომის რესპუბლიკას არ ჰქონია. (Philip V and Larissa: unknown) მაგრამ აქვე ჩნდება მეორე ვერსია, რომ მეფე ფილიპემ შესაძლოა ძალიან კარგად იცის რომის პოლიტიკური სისტემა, მაგრამ განზრახ ამახინჯებს ფაქტებს, რათა მის მიერ შეთავაზებული გამოსავლის სისწორეში დაარწმუნოს ლარისელები.

პირდაპირი თარგმანით: გააგზავნეს.

[27] სიტყვასიტყვით: ამ სტელაზე მონაწილეობის მიღების.

[28] სიტყვასიტყვით: პირადი ინტერესი.

[29] Γορπιαιος – გორპიეოსი – აგვისტო.

[30] კონტექსტიდან გამომდინარე იგულისხმები, ის კონკრეტული ტაგოსი, მაგისტრატის წევრი, რომელიც პასუხისმგებელია ამ ყოველივეზე.

[31] ორიგინალ ტექსტში წერია „Ἀθάνας" ქალღმერთი ათენას სახელი დორიულ დიალექტზე, შედარებისთვის, ატიკურ დიალექტში – Ἀθηνᾶ.

[32] სამოთრაკია/სამოთრაკე (Σαμοθράκη) – კუნძული ეგეოსის ზღვის ჩრდილოეთ ნაწილში. იგი ჯერ კიდევ ფილიპე II-მ (Φίλιππος II ძვ.წ. 359-336) დაიპყრო და მაკედონიის სამეფოს შემადგენლობაში იყო ძვ.წ. 168 წლამდე. ამის შემდეგ ორ საუკუნეზე მეტი იგი დამოუკიდებელ სახელმწიფოს წარმოადგენდა, იგი რომის იმპერიამ, კერძოდ, იმპერატორმა ვესპასიანუსმა (Vespasianus ახ.წ. 69-71) ახ.წ. 70 წელს დაიპყრო.

[33] კრანონი (Κρανών), დასახლებული პუნქტი თესალიაში, ქალაქ ლარისას სამხრეთ დასავლეთით.

ტეოსი, აგის მენანდრეოსი, პარმენისკოს სუსიპოლიიოსი, ჰიპოსტრატოს დიკეოკრატეოსი, ანტიგონოს კრატესიმაქეოსი, დიკეოკრატეს მოკტინიოსი, სიქუნ ანტიგონეოსი, პოლინიკოს სიმიუნეოსი, არქეოკრატეს ჰიპოსტრატეოსი, ბოისკოს ფილოლაიოსი, კლეონდას ევდამეოსი, თეოდოტოს ევდამეოსი, ლასთენეს მენუნეოსი, მენუნ ლასთენეოსი, დამოკრატეს პოლიგნუტეოსი, ალკინოს ფილოფერეოსი, ნელევს პიტთინეოსი, ჰიერომნამუნ პოლიგნუტეოსი, ჰოპლუნოს პითუნეოსი, ნიკოლაოს აგესიეოსი, სტრატუნ აგესიეოსი, ანტიგენეს ამფიეოსი, დინატოს მაქინეოსი, პანფილოს იმუნეოსი, ქეუნ პითუნეოსი, ანტიგენეს სუსიბიიოსი, პეტთალოს პოლიტეოსი, თერსუნ ნიკოდრომეოსი, სუსიპოს მენუნეოსი, მენისკოს მენუნეოსი, კიმუნ არეგუნეოსი, სუსტრატოს არეგუნეოსი, ლიკინოს ევდამეოსი, ფილინოს ფილომელეოსი, ლესქინას სტასუნეოსი, სტასუნ დიკეოკრატეოს ლესხინეოი, ანტიფანეს კორუნეოსი, არისტოფანეს, კორუნეოსი, ნიკიას არხელაიოსი, ფრინოს არისტოფანეოსი, არისტარქოს არისტოფაეოსი, ანაქსარქოს მენილეოს, პანტიოს ქსენუნეოსი, ევბიოტოს კოპბიდეოსი, მელაპრიას კოპბიდეოსი, არნეოს პარმენიუნეოსი, ეპიგონოს მიკინეოსი, თერსეას მეტალიეოსი, პეტალიას თერსიეოსი, აგათოკრეას ბულიუნეოსი, ატთონეოს აგათეკლეეოსი, დამონიკოს ბულიუნეოსი, სიმიას ტიმოგენეოსი, პარმენისკოს პარმენიონეოსი, ნიკუნ ნიკორეოსი, სუტადას პარმენისკეოსი, ლეუნ პარმენისკეოსი, რადიოს ნიკორეოსი, ნიკორას რადიიოსი, ფიდუნ ენეეოსი, კოლ...ს ლიკინეოსი, მეტუპოს ლეონტომენეოსი, ლიკინოს ლიკეოსი, პარმენედას სიმეოსი, მენეას სიმეოსი, ასკლაპიადას ანადრემუნეოსი, ანდრემუნ ასკლაპიადეოსი, დამოფანეს ფილოპოტეოსი, მენედამოს არისტოკრატეოსი, პეს/პაის არისტოკრატეოსი, დიკეოკრატეს ფილაგრეოსი, დიკეოკრატეს პარმენისკეოსი, პოლიქსენოს არქინეოსი, ანტიმაქოს ფილიპეოსი, ფილიპოს მენანდროს ანტიმაქეოი, ფალაკროს არქილაიოსი, ჰაგესიპოს პარმენისკეოსი, ფერეკრატეს ჰაგესიეოსი, ევდოქსოს სუსიგენიოსი, აგლაოს ჰოპლუნეოსი, ლეუნდრას ალექსანდრეოსი, სტრატიოს სტასუნეოსი, მენუნ გლავკიეოსი, ორესტას გლავკიეოსი, მელანთიოს ანდრომაქეოსი, მონიმოს ანდრომაქეოსი, თრასიმედეს ანდრომაქეოსი, ნიკასიპოს პეტრეიოსი, ევკოლინოს პეტრეიოსი, პეტალიას ტიმოგენეოსი, ეპიკრატეს მენედამეოსი, ასანდროს კეფალუნეოსი, ეპიკრატეს თეოდურეოსი, ნიკოკრატეს თეოძოტეოსი, ჰიბრესტას პოლიქსენეოსი, არისტომაქოს პოლიქსენეოსი, ბერეკას იანეოსი, ჰელანოკრატეს აგათუნეოსი, ეპიკრატიდას სიმეოსი, ოიდას სკარეოსი, ქსანთიპოს ნიკასიპეოსი, აგასიკრატეს აგასიდამეოსი, კლეოპტოლემოს ანტიგენეოსი, ლისიას ჰიბრისტეოსი, დამონიკოს ეპინიკეოსი, ავტობულოს პავსანიეოსი, არისტომენეს არისტოკრატეოსი, მენეკლედას სიმეოსი, ნიკუნ ონასიმეოსი, არისტომაქოს მენეკლედეოსი, არისტონოს არისტომენეოსი, ნიკასიკრატეს ეპიკრატეოსი, ფილოქსენოს სუკრატეოსი, სამოიტას პოლილაიოსი, მისკელოს სტრატიიოსი, პოლიოკტოს ანტიგენეოსი, ფაკას კრიტოლაიოსი, პავსანიას და ენოს და პოლიენედას, ავტონოს ამფილოქეოსი, ქსენუნ ლამედოტეოსი, პოლინიკოს ანტინოიოსი, აპიკრატიდას სეტადეოსი, დამენეტოს ნიკიეოსი, თერსიტას სტრატუნიოსი, ლიკინოს პეტალიეოსი, აგათუნ ეპიკრატეოსი, აგათუნ არუბგეოსი, რასურა, ეპიგონოს მიკინეოსი, ფილიპოს მენოიტეოსი.

გირტუნელები[34]: ეუთონოის ლეტინეოსი, ფილოდამოს ლეტინეოსი, ბოისკოს დამეტრეოსი პულიდამას ნიკუნიდეოსი, მნასიმაქოს მნასიეოსი, ეპიკრატეს ნიკასიპეოსი, ფილოფეროს ანთრუპილეოსი, ესქილოს ტალუნეოსი, აფსევდუნ ეპიკრატეოსი, არისტოკლეას არისტოდამეოსი, დილისკოს რადიიოსი, პარმონიდას სუსანდრეოსი, ევდამიდას პოლიკლიტეოსი, ანტიგენეს ფილოქსენეოსი, ნიკოლაოს არისტანდრეოსი, ამეტაბოლოს ეპიგენეოსი, აპოლოდუროს ადრატადეოსი, ფილოქსენოს აპოლოდუროსი, კლეოფ?იტოს კლეანდრეოსი, პოლ... მეოს. ამითავუნ პოლიიდეოსი, არისტომაქოს პარმენიტეოსი, ტალუნ ესქილეოსი, ნიკასიპოს ესქილეოსი, ეპიკრატეს აფსევდუნეოსი, სუსანდროს რადიიოსი, აგეტურ არისტოკლეეოსი, მეტუპოს დამოთერსეოსი, დიკე..... , გუნიპოს ესქილეოსი, თაუმასტოს ირუიდეოსი, არქიპოს ანტანორეოსი, ანტიგონეოს, ე....., ატთონესტოს კრიტოფილეოსი, პუტალოს რადიიოსი, ესქინას ასტიპეოსი, აგათიპოს ასტიპეოსი ესქილოს ასტოკლედეოსი.... ოგენეიოსი, სუიდას ლაკუნეოსი, ლაკუნ სუიდეოსი, ბერეკას პეტალიეოსი, ალკიდას ს....., ...სიას ფილოფერეოსი, სუსიპოს ერგინეოსი, თ....., პეტალიეოსი : ლუკიდას პანტა..... .“

გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის ნუსხა:

- **ბერძნული და რომაული საკუთარი სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი 2023:** რედაქტორი ნანა ტონია, ლოგოსი, თბილისი, 2023;
- **Nicholson 2015:** Nicholson Emma Louise, A Reassessment of Philip V. of Macedon in Polybios' Histories, School of History, Classics and Archaeology, 2015;
- **Philip V and Larissa:** unknown, ბოლოს დამოწმებულია 23.10.2023 D (columbia.edu);
- ძველი ბერძნული ტექსტი – IG IX,2 517 – PHI Greek Inscriptions (packhum.org) (ბოლოს დამოწმებულია 07.10.2023).

ბერძნულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო

გიორგი ბარნაბიშვილმა

[34] გირტუნელები – თესალიის რეგიონისა და მაკედონიის სამეფოს მოსაზღვრე ტერიტორიაზე არსებული პოლისის, გირტონის (Γυρτών/Γυρτώνη) მცხოვრებლები. პოლისში მაცხოვრებელ მოსახლეობას პერებოსები (Περραιβοί– Nom. Singl. **Περραιβός**) ეწოდებოდათ. გირტონი/გირტონე ძვ.წ. IV საუკუნიდან მაკედონიის სამეფოს ნაწილს წარმოადგენდა, ხოლო ძვ.წ. 196 წელს ის რომაელებმა დაიპყრეს, კერძოდ ტიტუს კვინკტიუს ფლამინინუსმა (Titus Quinctius Flamininus ძვ.წ. 228-174). რაც შეეხება პერებოსებს, ისინი მოხსენიებული ჰყავს ჰომეროსს (Ὅμηρος), ილიადის მეორე სიმღერაში, ე.წ. ხომალდთა კატალოგში. Hom.Il.2.749, მათ ასევე იხსენიებს ახ.წ. VI საუკუნის ბიზანტიელი მოღვაწე, სტეფანოს ბიზანტიონელი (Στέφανος Βυζάντιος) თავის ნაშრომში, Ethnica, G215.20.

აღსანიშნავია, რომ მათთვის, ლარისას მოქალაქეობის მინიჭება ფილიპე V-ის დიპლომატიის გამარჯვებად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ ამასთანავე მაკედონიის სახელმწიფოებრიობის ჩამოშლის ტენდენციად, როდესაც მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ნაციონალური სახელმწიფოები, ერთი სახელმწიფოს მცხოვრები/„მოქალაქე“ ხდება სხვა სახელმწიფოს, ამ შემთხვევაში პოლისის მოქალაქე, თითქოს ერთგვარ ორმაგ მოქალაქეობის ფენომენთან გვაქვს საქმე.